ეშმაკის მათრახი

იუმორისტული ჟურნალი № 13

27 მარტი, 1911 წ. ფასი 10 კაპ.

ყოველკვირეული გამოცემა



მდინარესთან.

როცა ვუცქერი მდინარეს,
თავი სიზმარში მგონია.
გრძნობას ვეძლევი მძინარეს,
ფიქრი ვერ შემიწონია..
სიღრმე არ უჩანს, ნაპირი,
დაუძლეველი ღონია.
მირბის ტალღათა ნახირი,
დიდნი და მომცირონია,
თვალთა ხედვასა მტაცებენ
ლტოლვანი უსაზღვრონია...
გულს მოღლილობით ავსებენ
სულს აღარ უჩანს ფონია,
მსგავსი რამ მედიდურება
ზღაპრებში გამიგონია.
ცხადი კი არ მეყურება
იგი სიზმარი მგონია!
მიცურავს, როგორც ვეშაპი
მისდევს ალ-ქაჯთა ბრბონია,—
მიიმღერს ეშმაკივითა
თითქოს ჟამნი და დრონია..
კაცთა ცხოვრებას მაგონებს,
სადაც მე საქმე მქონია;
იქ ტალღა ტალღას აგორებს
და ძმა ძმას დაუმონია;
ძალა სინდისზე შემჯდარა
და თავი მეფე ჰგონია,
მართალი განზე გამდგარა,
რისხვა ვერ შეუწონია..
უფლება მისი მონაა,
ვისაც იქ ძალა ჰქონია,
ოქრო დღეს მისი წონაა,
სულის უსულო ღონია!
მზე კი მაღლიდან დასცქერის,
მას ყველა ერთი ჰგონია.
... ცხოვრება ღელავს, მდინარებს,
დრო მიჰქრის, როგორც შურდული.

მდინარეც მირბის, მძინვარებს,—
ბედის სიმღერა ქურდული,
მე ვსდგევარ, თვალებს ვაშტერებ
და წინ ფიქრების ზვავია;
არც ოცნებაა ნაკლები
თუმც სინამდვილე მწვავია!—
კარგი რომ ყველაფერსა აქვს
საზომი, თავის დონია,
მაგრამ სიცხადეს რათა ჰგავს,
რაც ზღაპრათ გამიგონია?
რა მიხსნის,—მემაცხოვრება,
ჯერაც ვერ მომიგონია
და მდინარესთან ცხოვრებაც
ისევ სიზმარი მგონია..
ხშირათ ის დავიწყებულა,
რაც მართებულათ გვდომხია:
ვკითხოთ: სად დაბადებულა?-
სათავე სადა ჰქონია?!..
... გავიგე, მივხვდი მართალსა:
სად ბოლო, იქვე თავია,
ზღვაა იმისი სათავე
და იგივ შესართავია!—
იქნება ეხლა ვისწავლო
მისი კარგი და ავია...
... მაგრამ, ხომ იცი, ჰმორჩილებს
ყველა განსაზღვრულ ბრუნვასა,
გახსოვდეს ნუ დაივიწყებ
დღეს გუშინდელის ზრუნვასა!..

ვ. ტუქსიშვილი.

მასალები ქართული ლექსიკონისათვის.

(გაგრძელება)

„აბადელია“. ძნელი გამოსარკვევია, თუ საიდან წარმოსდგა სიტყვა „აბადელია“. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ეგ სიმღერა შეადგენს უსაყვარლეს ჰანგს ქუთათურ გაკოტრებულ თავად-აზნაურობისას და აგრეთვე მოქეიფე, უსაქმო, ინტელიგენ-

ტებისას, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ სიტყვა „აბადელია“ არის წარმოშობილი ორი ქართული სიტყვისაგან: „აბა“ და „დალიე“

ლექსი:

„აბა დელი, დელია, დელია,
საქართველო ჩვენია, ჩვენია,“

უთუოდ ასე უნდა აიხსნას: „აბა ყმაწვილებო! დალიეთ, დალიეთ, საქართველო ხომ მაინც ჩვენია!“. მართლაც სასიამოვნო მოსასმენია ეს ჰანგი, როცა ეტლში მჯდომარე ქუთათურ თავადთა ბრწყინვალე ყაყრანტოსაგან ფერმისა და ჭომის არე მარეს მოეფინება ხოლმე. ვისაც ასეთი სურათი არ უნახავს, იგი ვერასოდეს ვერ გაიგებს ლაღ ბუნებას ქუთათურ ახალგაზრდებისას, რომელნიც ეგზომ ეტრ ფიან საქართველოს.

ა ბ ა რ გ ვ ა. „აბარგვა“, ზმნებში, ყველაზე მეტათ ღირს მნიშვნელოვანი სიტყვაა. ზმნა ესე წარმოსდგება სიტყვა ბარგისაგან. თავის დროზე უფრო ვრცლათ განვმარტავთ სიტყვა „ბარგს“, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია აქაც არ შევეხოთ მას ორიოდე სიტყვით. ბარგი, ბარგი-ბარხანა, ხორაგი ანუ ხაბაკი ეწოდება იმ საშინაო ნივთებს, რომლებსაც იღებენ გლეხებისაგან, როცა მას გადასახადის ფულათ გადახდა არ შეუძლია. (ქვაბი, წალდი, ცული, თუნგი, ტაფა, ლები, საბანი, თოხი, ბუდე ქათმისა, ტაშტი და სხ.) აბარგვა, მაშასადამე, ნიშნავს იმგვარ ბარგით ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლას. მაგალითისთვის დავასახელებთ რამოდენიმე სახეს აბარგვისას. ა) აბარგვა „მაუნიციპალური“ — ეს გახლავთ ის სახე აბარგვისა, რომლითაც თფილისის მამები ერეკებოდენ ქალაქის განაპირა უბნებში ჩასახლებულ ღარიბ ღატაკებს. ამის შესახებ ბევრი დაწერილა ქართულ ჟურნალ-გაზეთობაში. ბ) „აბარგვა თავად აზნაურული“ უმეტესად ეხება იმ უებდურ ჯიშს ქართველებისას, რომლებსაც ხიზნებს ეძახიან. ისინი, როგორც მოსახლენი ბატონის მამულზე, ვალდებული არიან აიბარგონ, როცა ბატონს მოეხალისება. ამისშესახებაც ბევრი დაწერილა (სურამის ახლო მახლო ადგილებიდან) ჩვენს პრესაში. მესამე სახე აბარგვისა გახლავთ ყველასაგან კარგათ ცნობილი გ) „აბარგვა ადმინისტრატიული“. არა მგონია ვისმესთვის და მით უმეტეს ლექსიკონის შემდგენელთათვის საჭირო იყოს ამ მესამე სახის აბარგვის განმარტება.

„აბა ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“ ვიდრე ამ ანდაზის ახსნა განმარტებას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიმაჩნია აღვძრა საკითხი: ზომავალ ქართულ ლექსიკონში რჩეული ანდაზების შეტანის შესახებ. ეს წინადადება მართალია ხარჯს გამოიწვევს ცოტას, მაგრამ სარგებლობა დიდი ექნება. აი, მაგალითად, ანდაზა ზემორე მოყვანილი. თუ ჩვენ მის გონივრულ აზრს ჯეროვანად დავუკვირდებით, ნათლათ გავარკვევთ, თუ ვითარ აშკარა გამოხატველია იგი დღევანდელი „მანასეებისა“. გადაავლეთ თვალი უკანასკნელი ხუთი ექვსი წლის ცხოვრებას, გაიცანით მისი მომქმედი პირები და დაინახავთ, თუ რაოდენი „მანასეები“ ჰყოლია ბედნიერ საქართველოს, რომელნიც თანახმად ამ ანდაზისა საჭიროების დროს „ხან ასე და ხან ისე „იქცეოდენ. ვინაიდან ანდაზა ესე არის წმინდა ეროვნული, ანუ უკეთ ვთქვათ, არ არის პარტიული, ამიტომ მის დარიგებას ერთნაირად მიჰყვება მთელი ქართველი ერი. ჩემის აზრით ეგ ის, „საერთო ნიადაგია“, რომელზედაც განვლილ წლებში ეგრე ოცნებობდა ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე. გავიხსენოთ თუ გნებავთ ქუთათურ თავად-აზნაურთა „ავტონომისტობა“ 1905 წლისა, ვინ იტყვის რომ მაშინ „ისე“ არ იყო საჭირო ბრწყინვალე წოდებისათვის? გაიხსენეთ მოძღვართა მიერ დრამა ფულზე ვარის თქმა იმავ 1905 წელში და სთქვით: იყო თუ არა საჭირო „ისე“ იმ დროს და „ასე“, როგორც ახლა იქცევიან, ამ დროს? აღნიშნულ ანდაზას უფრო დიდი ნიადაგი რწმენის სფერაში აქვს და ამ მხრით იგი სწორეთ რომ ყურადღების ღირსია შეტანილ იქმნას ქართულ ლექსიკონში, თუნდაც ამ ბედნიერებაზე უარ

ეყოს დანარჩენ ქართულ ანდაზებს. ჩვენებურ პრინციპების „მანასეებზე“ მე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ვინაიდან ეგ ისეთი აშკარა საქმეა, რომელსაც თვით ივანე როსტომაშვილიც კი მიხვდება *)

ეშმაკი.

ჩანგურს.

ხელში ავიღე ჩანგური,
სიმებს ჩამოვკარ თითები.
შევაკოწიწე ერთმანეთს
ნაძიძგნი გულის ფლითები;
შიგ გრძნობის კოკონს ავანთებ,
ვადარებ უშრეტ კერასა,
მაშ აწკრიალდი, ჩანგურო!
სიმებო, თქვენსა ჟღერასა!..
მიყვარს მე თქვენი მწყობრი ხმა,
კაეშნით სავსე თრითინი,
მიყვარს მე თქვენი წკრიალი,
მიყვარს მე თქვენი ქვითინი...

მწუხრის ბინდ-ბუნდსა მოუცვავს,
მდუმარებს ჩაგრულთ უბანი:
მისუსტდა, მისწყდა ჩანგის ხმა,
ჩატყდა, ჩაკნინდა ებანი;
ცა ჩამოსცქერის პირშავათ,
ელავს, ვახვახებს ქუხილი.
ჩაგრულთ უბანში გლოვაა,
ქვითინი და ყრუ წუხილი.
რაზედ სწუხს ჩაგრულთ უბანი?
აი, საკითხიც ესაა!
ამის უსიტყვო პასუხი,
სიმებო, თქვენი კვნესაა!..

—

სევდით გასცქერის წალკოტი,
პარტახათ გადაქცეული,
ზედ დაძრწრის ტურა, აფთარი
და ზღვის ნიანგი, წყეული.
ვარდისა გაცრცვნილ ბუჩქზედა
კვნესს, ITირის ცისკრის მგოსანი
ცრემლით სველდება ქვეშ ია
და იქვე იზი სოსანი
ნეტა, მგოსანი რათ სტირის!
აი, საკითხიც ესაა!
ამის უსიტყო პასუხიც,
სიმებო, თქვენი კვნესაა!..
მაღლობზე მოსჩანს ჭაბუკი
ცრემლი სდის ღაპა-ღუპითა
და დამჭკნარს ტრფობის ყვავილს კი
მაინც ატარებს უბითა.
იწვევს, ეძახის ვიღაცას
ამოდ! არ ისმის პასუხი.
ბოღმა-ღა ისმის ჭაბუკის
მკერდიდგინ ამონაქუხი.
ვის იწვევს? რათ არ ისმენენ?!.
და სავალალოც ესაა!
ამის უსიტყვო პასუხიც,
სიმებო, თქვენი კვნესაა! .
უთქვენოთ, აბა, რას ვაქნევ
უსაზღვრო გულის ძგერასა?
მაშ იწკრიალე, ჩანგურო!
სიმებო თქვენსა ჟღერასა!.

ნ ზომლეთელი.



---

*) შეიძლება ვინმემ გაგვიმტყუნოს ამ საზომის ხმარება მწერლობაში და ისიც ასე ზშირათ- მათი ნებაა. მე კი მგონია, რომ ეგ საზომი საუკეთესო საზომია, ვინაიდან ის ანბანური ჰეშმარიტება, რომელსაც ბ-ნი როსტომაშვილის ნათელი თავი დასძლევს, აღარ შეიძლება ვისმესთვის გაუგებარი დარჩეს. ეგ საზომი არის ეგრეთ წოდებულ მინიმალური საზომი. —კი.

როგორ გადაყვა თავ. გოჯასპირ თავისს ულვაშებს

(დასასრული)

გოჯასპირმა მაშინვე მოაყვანია პარიკმახერი და დაეკითხა:

— შეგიძლია ულვაში მომპარსო?

— ვა! მაშ ხელობა რა არის!—მიუგო პარიკმახერმა.

— კეთილი!—ისიც შეგიძლია, რომ იმ ულვაშის პარიკი გამიკეთო?

— რატომ არა.—ადვილია!

— მაშ კარგი, მომპარსე, მაგრამ ერთი ღერიც არ დაჰკარგო!.. ისეთი პარიკი უნდა გამიკეთო, რომ ჩემი ულვაშებისთანა იყოს! და აჰა, ესეც შენ! ჩაუდვა ხელში ოქრო. პარიკმახერი შეჩერდა და უკანვე უნდოდა დაებრუნებია ოქრო: ხურდა არ გახლავსო! მაგრამ გოჯასპირმა ღიმილით უთხრა: არა, ეგ სულ შენია და ერთ ოქროსაც, რომ მომიტანო მაშინ მოგცემ, მაგრამ იმ პირობით კი, რომ არსად წამოგცდეს-რა.

— გავქვავდები, დავმუნჯდები, კრინტს არ დავძრამ, მიუგო გახარებულმა პარიკმახერმა და ჩამოპარსა ულვაში. მერე მოწიწებით აკრიფა ღერაღერა, გამოახვია ქაღალდში და გაუდგა გზას. უულვაშო გოჯასპირმა ულვაშაკრით აიკრა საულვაშე და მაშინვე ქვეშაგებში ჩაწვა ავადმყოფად. მესამე დღეს მოუტანეს ულვაშების პარიკი. გოჯასპირმა გაიკეთა ჩაიხედა სარკეში და რომ დაინახა ისევ თავისი ულვაში, სახე გაუნათლდა და თუმნიანი უბოძა გახარებულ პარიკმახერს... გამოხვია პარიკი ქაღალდში, დადვა კრაოტზე, თავთით ახლოს, და თავი მისცა ოცნებას: დიდება შენს სახელს ღმერთო! სანამდი მიდის განათლება?.. მართალი უთქვამთ: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო“. .და სხვანი.

სანამ ის ოცნებას გაათავებდა, ღია კარებში შემოვიდა ძაღლი· მიისუნ-მოისუნა, ქონიანი ქაღალდში რომ დაინახა რაღაცა გამოხვეული, დაავლო პირი და გავარდა გარეთ. გოჯასპირი თვალდაჭყეტილი წამოხტა ზეზე პერანგა, თავ-შიშველა, ფეხ-შიშველა და გამოუდგა ძაღლს. დიდხანს აღარ შემობრუნებულა შინ და რომ დაბრუნდა, მისთანა შენს მტერს, ადამიანის ნიშან-წყალი აღარ ჰქონებია!.. გაწუწული, გათხუპნული, ძლივს მიუჯდა ბუხარს... სხვა დროს ეგება არა დამართნოდა-რა, მაგრამ ახლა კი, ამ შეწუხებულ გულზე, ველარ აიტანა გაცივება, და გაუჩნდა ანთება. სამი კვირე გასტანა ავადმყოფობამ. სულ უაან-უკან მიდაოდა. ნაღველი ბევრი გაულესეს, ნაწყენი არ იყოსო, გამოლოცვითაც ბევრჯელ გამოულოცეს, ეგებ თვალ-ნაკრავი იყოს და არგებსო, ოფლიც ბევრი ადინეს. საბნები რომ აღარ აკმარეს, თავზედ დააწვენ, სიმწრის ოფლი ადინეს, მაგრამ მაინც არა ეშველა რა!.. ისე უულვაშოთ გაჭიმა ფეხები!.. ჩვეულებისამებრ ჩადვეს კუბოში ჭირისუფლებმა და გაიმართა ჩვეულებრივი ტირილი: მოდიოდენ ნაცნობები და მოთქმით სტიროდენ. გასვენების დღეს, გამოსათხოვარი ტირილი იყო ზარით დანიშნული და ისე გამწარებით მოთქვამდენ დიდი და პატარა, რომ კაცს ეგონებოდა ცა და ქვეყანა იქცევაო. უცბათ, ვიღაცამ დაიყვირა: გაწყვიტეთ ზარი, სიკო მოდისო! სიკო განთქმული იყო, როგორც პირველი მომტირალი. მისი მოთქმა ყველას უნდოდა გაეგონა დაამიტომაც მიწყნარდა ხმაურობა. შემოვიდა სიკო, თან ორი კაცი მოჰყვებოდა; მხიარული სახით, თითქოს აქ არაფერი ამბავიაო გაჩერდა შუა ოთახში და მიუბრუნდა მკვდარს: გამარჯობა შენი!.. გამარჯობა მეთქი!... არ გესმის, თუ რავა არის შენი საქმე?..

რამდენ ფრაზას გაათავებდა, იმდენს სხვა მომტირლები ჩაიქვითინებდენ ხოლმე, გულ-მომკვდარი.

—ხომ არ გძინავს, ძანგრე რომ წამოპლაკულხარ ამ შუადღისას? კი მარამ რა დროს ძილია? გულ-შეწუხებული ხომ, არ ხარ? აბა მაჯა მაჩვენე შენი!.. ციია!.. გამოთხოვებიხარ ამ სოფელს? ვაი ჩემს მოსწრებასო, და მიუჩოქა კუბოს, თავში ხელის ტყაპუნით. მიმყოლები მივარდენ, წაავლეს ხელი იქითაქეთ ვითომ გააკავეს სიკო იწმაწნებოდა, იგრიხებოდა რაც შეეძლო და სცდილობდა ვითომ, რომ წვერ-ულვაში დაეგლიჯა. —ვაი ჩემს მოსწრებას, რაღათ მინდა თავი ცოცხალი! დავკარგე მარამ ვინ? შენ გიტირო, თუ შენი საარაკო ულვაშები?

— სულაც მაგ ულვაშებს გადაჰყვა საცოდავი! მოაპარსვიეს იმ ურჯულოებმა!.. მიატირა გოჯასპირის ცოლმა.

— როგორ თუ მოაპარსვიეს?! ის საარაკო ულვაში, გვარის დასამშვენებელი?! ასე ჩალა-ბზესავით ჩამოხადეს ულვაშ-ბატონობა?..

— სადღაა გენაცვალეთ, ახლანდელ დროში სამართალი?

— მოპარსული მაინც სადღაა? რატომ თან არ ჩაატანეთ მისი შვენება კუბოში და ისე არ გაისტუმრეთ საიქიოს?

— სადღაა, გენაცვალეთ, ძაღლმა მოიტაცაااა!. სულაც იმას გადაჰყვა ეგ უბედური. გამოუდგა,

რომ წაერთმია. იმ შეჩვენებულმა ძაღლმა მთელი ეზო შემოარბენია და მერე გადაუხტა ღობეზეეეე!.. მაშინ გამიცოდა იმ თოვლ-ჭყაპში და ასე, ოხრად დამაგდოოო! ვაი ჩემს მოსწრებაას!

— ვაი ჩემს მოსწრებასაც!.. აბა, მაგაზე ყოფილა ნათქვამი: ,,შენი ულვაშიო ძაღლის ფუნაშიოო!''. ეს უკანასკნელი სიტყვები ისეთი მწუხარებით წარმოსთქვა, რომ თავი ვეღარავინ შეიმაგრა და ასტეხეს სიცილი. წამოცვივდენ მომტირლები, ზოგი იქით კარში გავარდა და ზოგი აქეთ. მომყოლებიც ჩამოშორდენ, სიკოს ხელი გაუშვეს და დარჩა მარტოთ—მარტო დაჩოქილი სიკო. აღარ იცოდა რა უნდა ექნა. რომ ამდგარიყო თავისით არ ივარგებდა,განთქმული მომტირილის სახელი დაეკარგებო. და და ხელის მომკიდებელი კი აღარავინა ჰყავდა: ამისთანა განსაცდელში მყოფს მოაგონდა ხერხიმიიხედა და კუთხეში დაინახა გადაყრუებული დედა ბერი, გოჯასპირის დედა, თავ-ჩაქინდრული ქვითინებდა თავისთვის. უცბათ შეიჭმუხნა წარბები, მიიფარა შუბლზე ხელი და მიაყვირა: რავა შენ კიდევ ცოცხალი ხარ შე წაწყმენდილო? ამისთანა შვილის დამკარგავს, რაღა სასიცოცხლო პირი გაქვს? რაღად გინდა სიცოცხლე? მომიტანეთ ერთი ქვა, რომ დავჭკრა და გავუტეხო თავი: ქვა! ქვა!.. იმე! რა გაგიჭირდათ ერთი უბრალო ქვა? არავის მოგაქვთ? მაშ ისევ მე უნდა მოვიტანო?—წამოვარდა ზეზე და გავარდა უცბათ კარში, ვითომ და ქვის მოსატანათ, მაგრამ გუნებაში კი თურმე სხვა ედვა: ჯორი ჰყავდა ღობეზე მიბმული, ახსნა, მოახტა უნაგირს და გაქუსლა შინისკენ. დედა-ბერი კი კარებისკენ შეშინებული იყურებოდა:შემოიტანს ქვასო, მაგრამ რომ დააგვიანდა დამშვიდა ცოლმაც აიღო თავი, მიიხედა, მოიხედა და ოთხში რომ ბევრი ვეღარავინ დაინახა, ერთი დაიკივლა სიმწრით: ვაი ამისთანა სიკვდილსო და გულ-შემოყრილი გაგორდა ხალიჩაზე.—

აკაკი.

მესტვირული.

(ბათუმ-ი ფილისის თვის)

ბათუმს თფილისმა მოსწერა:
—„დედინაცვალო— დედაო!
შენც გაიგებდი ჩემს ამბავს,
ბევრს რას ვწერ ამაზედაო,
თავზე სირცხვილი დამატყდა
მშველელს კი ვერა ვხედაო,
მომარტყეს მოულოდნელი
პანღური ზედიზედაო,
ვინც რომ მოყვარე მეგონა,
სწორედ ის მეთავხედაო:
სიმართლე აღარ გამიდის,
რაღა ვქნა, ვის რა ვედავო!
ვცან ნიშადურის სიმუხთლე
და სიტყვას ვეღარ ვბედავო
მხოლოდ შენ მყავხარ ნუგეშად
და ამან მაიმედაო.
დედა-შვილობას გაფიცებ,
გენუკვი ამაზედაო,
მაქ რომ ყმაწვილი დაგისვამს
მომაღლოთ, ორ სკამზედაო,
იგი დამითმე როგორმე
(ეს მითხოვნია შენდაო,
რომ ეგებ ჩემი ქალაქი...
ეს ახლა გამახსენდაო)
გაკეთდეს, როგორც „ბათუმი
აყვავდა და აშენდაო“.
ბათუმმა ასე მისწერა:
—სიკვდილი ჩემი მალეო!..
ვინ გაგაწბლებს მაგაზე,
მიირთვი გენაცვალეო!..
ჩემი საფასით მოგართმევ,
ელოდე დღეს, ან ხვალეო.
დიდ მადლობასაც მოგიძღვნი,
რომ ადრე გამაცალეო.
ეგების კიდევ გენებოს
სხვა ვინმე... შემოსთვალეო,
მაგის ერთგული კუდები
ძმა ბიჭნი, მოსაშვალეო,
ყველას მოგართმევ, შენ ოღონდ
მომწერე, დამავალეო,
და რაც სიკეთე გამორჩე
მას, ვისაც მიენდვალეო,
იგი წლის ბოლოს გასინჯე
და კარგათ დაითვალეო.

მომირთმევია, რაც მთხოვე
თავისი ორი სკამითო,
ერთზე არ ძალუძს დაჯდომა
(ან კი რაუპირს ამითო!)
ტურები გამოყვებიან,
კლოკების მოსასხამითო,
მაჩვები სიტყვებს ეტყვიან
მაძღრები მეტი ჭამითო.
თაგვები „მრავალ ჟამიერს“
უმღერენ მცირე ჟამითო
„მაყრულს“, ქალაქის ყრუ მუნჯნი
ეტყვიან ერთის ღამითო.

ა. ბლიკვაძე.

გურული სცენა.

(თოვლის ამბავი.)

გეგისტუშრეთ ბატონი კალანდა—გაგითენდა ასი ათასი. ფეერხვეთ ქათამიც: ასი დედალ, ასი მამალ, ასი მისი მოჩხოროზი: გათენდა ქათმიფეერხვა მორე დდეი და გვიფეერხვ კიდეც თოლმა. მერე რომ იტოდე თოლის მოსლამდი რა დარი იდგა: გადაწმენდილი, გადაკირკაუებული, ცას მტვერი მოსდიოდა—ატამი აუვავებული, ფურცელ დამდიდრებული იო. ქე ასრულდა რომ იტეკვიან: მარკალიტათ კბილებ დახვანული დედა-ბერი რომ გასათხოვარ ქალიშვილსვით გამეზრანჭება მიერიდეო—ასთე ეო სწორეთ—დედაბერი ზამთარი ქალიშვილს გავდა ქათმიფეერხვა მეორე დდემდი—აკია უმარული არ ქონდა შეცხებული. სამ ინვარს იგიც შეიცხო, მარა რაფერ შეიცხო, სულ თლა გამოიცვალა ფერი. გათოვდა მარა რა გათოვდა, წამობარდნა, დაფარა, მიწა, სახლი, ხეი, ხუდა, ნალიე, სადორე და ეორიფელი. დილას რომ თოვა დეიწეო, სადამოს სახლმა დეიწეო წიწკინ წიწკინი. გეგისვით ხელი დაეხვეტეო—გეისვა იმ კაცმაც ხელი და ასჯერ მეტი დაეაარა ზეთ. ეხვეტავო ეარის, ეარის ეხვეტავო—გაკავდა გზი, შეიკრა წისქვილი (ისეშიეკრა კბილები ჩემს ავის მდომელს) დაძრა ჭაში წეადი, დეიდია სოფქვილეში ფქვილი, გათავდა ზვინზე ჩალა, გათავდა შეშა, (გაგიშეშდა დამაწეევარი) ატირდა ბადნები, აკანკალდა ქალი, აკანავდა კატა, აერიახდა ქათამი, აბღავლდა ძროხა, აემუვიდა ძაღი, აწიხვინდა ცხენი—მოშიკდა ეორიფელსა ადარა აფერის დასაბურებელი—შეიქნა ერთი ასვარეე დასვარეე—გაჩდა სახლში ჯოჯოხეთი ზეიდან ჯოჯოხეთი, ეზოში ჯოჯოხეთი, შინ ჯოჯოხეთი, მოდი და გუუძელი. მეაწვა მარა რა მეაწვა—დაეარა მარა რა დაეარა, დეიმალა დობე, დეიმალა სახლები ადარ გეირება უთხიდამეურთ კაძვირდა ეოდიფერი—სიძვირეს ვინ ჩავა რომ არ იშოსება ოვარა. კონა ჩალა ორი შაური, ჭვირთი შეშა ბადანაის ჭვირთი, ორი ნაპობი, ერთი შენთება მეტი არა, სამი ანაზი. ქფილს სა იშოსი კატრაბინტი შეიქნა. სახლის დახვეტა სამი მანეთი (იგიც ოქოქეეს) მერე რაი, დილას დახვეტ სადამოს კიდეგ უნ და დახვეტა და კიდეგ გეშანია არ გამეირაგეო არ და გემეფხოს თავზე ხო და დეიდია შეშ ვედარ მივაგენით დობეს დასარდეათ, დავწვეთ ჭერი, გათავდა ჭერი, ვსტაუნეთ ნაჯახი თხემდას, ვაშლს, მსხალს, ნიგოზს ბეოლს, გადავჩეხეთ ეორიფვალი, მარა ეგერ ზეით, კეეერა ფხალ ავეთ, ხეიტი და ხვავანი ქე დარჩა თოლში დამალული. ვხარშეთ კეკალი სიმინდი, მოხარშული მოგვწეინდა ვათიურეთ. გავმწარდეთ, გაკეშხმდეთ, ამოი სულო და წაი—კი მოვდები, მარა სოფლავზე ვინ გაგიტანს—ან სა მიაგნებ შენ სამარხს? დილას ხვეტე, სედამოს ხვეტე სახლიდან გადმოანხვეტი რომ ადარ დეეტია ჩემს ეზოში მეზობლიდან ვიქირავე თოლის დასაეარი ადგილი—. კვიტანცია ვამომართვა ეოველ წედიწადს არ მომთხოვეო-

ახლა მიგხთი რა კა ეოფილა სიდარიბე. ამისთანა გაჭიკვრების დროს სიმდიდრეს სიდარიბე ჯობნებია. ააშენა დმერომა კირიდოკის ოჯახი, აცხონა მისმა სადოცვამ ადიხანოვი. მა მიეწია (ჩინით ოჯო, სხვაით არ ეფიქრეთ!) ტამბაჩოვი ჩემ დაწვიზა, დადაგვიზა, ჩემი ოდა რომ არ დეეწკენ, ნალეი არ მიებრაკენ, ხულარ წეედანდარებიენ მე გუუძლებდი იგინის ხვეტას? სა იქნებოდა ჩემი ძვ ლი და რბილი? სულო ცოდვეო და ახლა რავაც მიგხოი ძალიან შიკვეცოდეთ თურმე ჯაბადარს აც—იმას რომ რაცხა გამოტირებული ორი კაბეკი ეოწიკნების ბეჭდიზა არ მიეხარჯა და დამწვრებიზა მიეციქნებ ქე აგვეშენებია რამე და ამოგვიშვებდა ახლა დილა-სადამოს იმისი ხვეტა.

ააშენა დმერომა ხუცების ოჯახიც (რავაც ჩემია ისე მანც) იგინს დრამა ფულში რომ ძროხა არ წეებდეეულებიენ და თხი არ წეეხეტელებიენ რა უუთავდებოდა ამ ზამთარში იგინის ჩალა? აგი რომ ამ ვხთი ამიზა ვიდოცები დმერთო ნუ გუუჭირებ ჩვენს გამჭირვებელს—იგინი თურმე ჩვენი მოკვრები ეო და ამდენ ხანს მე ამდენ აგი ვერ მიგხოი!?

პიტნა.

სამსჯავროში წასვლის წინ.

მე კი დავიბან ხელს და იქ მსაჯულებმა იციან!

სამწუხარო შეცდომა. ეს ნომერი უკვე დაბეჭდილი იყო, როცა შევნიშნეთ, რომ პირველი გვერდის კარიკატურა უწარწეროთ დაგვრჩენოდა. ბევრი ვიდარდეთ, მაგრამ რაღა ეშველებოდა. მივენდვეთ ისევ მკითხველის გამჭრიახობას, რომელიც იმედია იცნობს იმ ორ ბედაურსა და მათ მხედარს.

სიმღერა.

არა, არა ვარ ჩვეული
სიმხდალის ცრემლის დენასა;
რაც დღემდის მწამდა, იგივ მწამს,
ვერვინ შემიცვლის რწმენასა.

—

დიდი ხანია რაც ვიმღე
ხალხის ჭირი და ვაება;
ერთია ჩვენი მიზანი:
— ვიხსნათ ტყვე-ქმნილი ღვთაება!

—

გ. ქუჩიშვილი.

ენუქას ანდერძი.

—:—

მოკვდა საბრალო ენუქა,
დაობლდა გლეხის კარავი,
გლოვის მანდილი მოედო,
სიცოცხლის შეცამზარავი.
ქვითინებს ქვრივი სალომე,
თვალზე ცრემლ შეუშრობელი
არ არის მისთვის იმედი,
არცა ნუგეშის მთხრობელი...
ვალები დარჩა ენუქას,
ვინ არის გამსწორებელი?
ვიცით, რომ სოფლის ხუცესი
ხარბი და უმაძღარია;
მისთვის სუყველა ერთია:
ცოცხალია თუ მკვდარია,
ყველას ერთგვარად ატყავებს
და იმით გამაძღარია.
სპირდონ ხუცესი ენუქას
მოძღვარი იყო, ნაკურთხი,
უწირა, წესი აუგო
და დაუკურთხა საკურთხი,
და ესე რა ჰყო უზრუნველ
გლეხი ენუქას ცხონება,
ნამღვდელ მსახურევს ქვრივსა სთხოვს,
(ქვრივს დარჩა ქმრისა ქონება)
ქვრივმა კი რაქნას, არ იცის:
რით გაისტუმროს ხუცესი,
რითი გააძღოს მოძღვარი
ვით რიგი ითხოვს და წესი!
ან მევალეებს რა უთხრას?
იმათი გასასტუმრები
არ დარჩენია ენუქას
მამულები და ჟურები.
ქოხი, ეზო და საყანე...
ესაა მთელი ქონება,
რომელიც, ორს მსხვილ ვალთაგან
მხოლოდ ერთს შეეწონება.
ჩაფიქრდა ქვრივი და ბოლოს
გააჭრევინა გონებას:
მოდი, მთლად ხუცესს გადავსცემ
ენუქას ყოფილ ქონებას.
და როცა ფულის მოთხოვნით
ერთ დღეს ესტუმრა მოძღვარი,
იწყო მან მწარე ქვითინი,
სტირის ცრემლებათ დამდნარი,
და ასე გულ ამომჯდარმა
აუწყა მოძღვარს ამბავი:
„მამაო სპირდონ! მეუფემ
გამწირა მე საცოდავი,
რომ ვერ მოგართვი ამდენ ხანს
ის თქვენ ხვედრი ფარები,
ვერც გადმოგეცი აქამდის
ენუქას დანაბარები,
რაც სიკვდილის წინ, საბრალომ,
მოასწრო, ჩემთვის რომ ეთქვა,
სანამ არ გამიმხელია,
ის გულზე მოწევს, როგორც ქვა.
მითხრა: „სალომე, თუ მოვკვდე,
დღე მიმეწუროს შავათო,
ეს ჩემი ქოხი გაჰყიდე
ღვდელს მიეც საწირავათო“!
—ღმერთმა აცხონოს ენუქა!
უკეთეს რაღას იტყოდა!
უფალმა ყველა შეუნდოს,
რაც სიცოცხლეში შესცოდა.“...
—„კიდევ ეს მითხრა“, განაგრძობს
ქვრივი ხუცესთან საუბარს:
ეს ეზოც, წესს რომ ამიგებს,
საჩუქრათ მიეც ჩვენს მოძღვარს,
საყანეც მიეც და სთხოვე
ორმოცჯერ რომ მიწიროსო,
იქნება ამან იმ ქვეყნათ
ცოდვები შემიმციროსო“...
—„ცოდვა კი არა... ცხონდება,
უეჭველია ესაო,
ამისთვის წირვაც ორმოც გზის
თვით ღმერთმა დააწესაო!
რაღა თქმა, უნდა ცხონდება,
ვინც ასეთს ანდერძს სტოვებსო,
ღმერთი მღვდლის პატივის მცემელს
ცოდვებს მთლად მიუტევებსო!“..
და გული სპირდონ ხუცესის
ატოკდა სიხარულითა.
ფიქრობს: მომავალ კვირაში
ჯიბეს აივსებს ფულითა.
მაგრამ.. ჩუ! ვაი, რა ესმის!
ქვრივი ლაპარაკს განაგრძობს,
მან უფრო ქეზი მოიბა,
მღვდლის აღტაცებას რო ატყობს.
—„ვალებიც დარჩა ცხონებულს
ორასიოდე მანათი

და დაგავალა, მოძღვარო,
თქვენვე გადახდა ამათი!“.
—,,ვალი, ორასი მანათი?!.
ქონება—,ასიც“ არა ღირს!!.
გულს ელდა ეცა სახიერს
და აღარ უღებს დანა პირს.
—,,ვაი წაწყმედილს ენუქას.:
ეს როგორ დაიბარაო?
არა, შვილოსან, მომეკი
ისევ ის ხვედრი ფარაო,
ქოხი ეზო და საყანე
ღმერთმა შენ მოგახმაროსო!“
ქვრივი კი ყურსაც არ იბერტყს,
ცხარე ცრემლები დაღვარა,
თითქოს გულზედაც მოეშვა,
მღვდელს რომ ,,ანდერძი“ ახარა..

ონისიმე.

პოლიტიკური

დეპეშები.

დარკვეთი. ვინაიდან „ხელ მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალია“,ე. ი. ვინაიდან ბ-ნმა ესაიაშვილმა მარტომ ვერ აღმოაჩინა საჭირო კორესპოდენტის ვინაობა, ითხოვს სადაც ჯერ არს, რომ დაახმარონ მას კიდევ ორიოდ პოლიციელი ძაღლი.

იქიდანვე. უკურნებელი სენი მოედვა ადგილობრივ „მოინტელიგენტო“ ხალხს. ექიმები დიდ საგონებელში არიან, ვინაიდან სენი გადამდებია. სახელად მას „ფრაპი“ ეწოდება და უზომო ხარჯს თხოულობს.

იქიდანვე. ბ-ნი იესე კილასონია სამედიატორო სამართალში იწვევს ყველას, ვინც იფიქრებს, რომ მის მიერ კარტში წანაგები ქანქარი ამხანაგების მიბრებული იყო და არა მისი საკუთარი. ვადას აძლევს, დღიდან ამ წერილს გამოცხადებისა, ორ კვირას.

ეშმაკეული.

განკითხვა.

I.

ნაძვით და ფიჭვით დაბურულ ხევში,
სადა მზის სხივიც ვერ ჩასწვდებოდა,
სადაც ბუნების ველურ სილაღეს
კაცისა ფეხი ძვირად ხვდებოდა,
სად მხოლოდ მხეცებს დაედოთ ბინა
თავისუფალი ყმუილ-თარეში,
დღეს ყაჩაღების ბრბოს ჩაებუდა
ამ მიყრუებულ არე მარეში...
თითქო ამათთვის შეზღუდულიყოს
არე ქვეყნისა ვრცელი და ფართო,
ყოველი წამი იყო ამათთვის,
წამი საშიში და სახიფათო.
მცირე რამ შრიალ-ფაჩუნის ხმაზე
გადმოიგდებდენ თოფს ანაზდათა
და იარაღებ მომარჯვებულნი
იყვენ სასტიკი ბრძოლისთვის მზათა.
ამ ბრბოს თან ახლდა ბელადი ფიდო:
მარდი, გულადი, ხალხში ცნობილი,
ბევრჯელ ათას-გვარ თოკში გამძვრალი
და ფოლადივით გამოწრთობილი.
მაგრამ ღღეს ფიდო თავს ავად გრძნობდა,
რაც ამხანაგებს არ დაუმალა:
— ძმებო, ამ კუთხეს უნდა გავშორდეთ,
არა გვაქვს მეტი ღონე და ძალა.
მთავრობა გვეძებს... ამასთანავე
ხალხიც გვიცქერის დღეს ალმაცერათ:
შიმშილი მუდამ თავს დაგვტრიალებს,
თითქმის ბუნებაც გადაგვექცა მტერათ.
ხედავთ,ზამთარიც მოგვიახლოვდა,
ძვალ-რბილში გვატანს ყინვა და ქარი,
ხან ამ ხის ქვეშ ვართ, ხან იმ კლდის ძირა,
ბინა არა გვაქვს თავ-შესაფარი!!.
ოჰ, რომ შეძეძლოს შინ დაბრუნება,
პატიოსანი შრომა და გარჯა...
ოჰ, რა სიამით ვიწყებდი შრომას...
თუ არ ვიშრომო, გამიხმეს მაჯა!..
თუ ვიშრომებდი,—კიდეც შემეძლო
ალალი ლუკმით თავისა რჩენა,
მაგრამ რა ვქნა, რომ არ შემიძლია
აშკარათ შრომა, იქ გამოჩენა?
ვიცი, რომ შრომას არ დამაცლიან...
მაშინ, მშვიდობით, საწყალო ფიდო!!.
ამ გვარათ ისევ ძალ-უნებურ
უნდა ეშმაკის გზას მოვეპიდო!!.

უცებ, სტვენის ხმა მოისმა შორით.
— კოტე იქნება!.—წარმოსთქვეს ერთხმათ.
ამათაც სტვენით ხმა მიაწოდეს;
მათი აქ ყოფნა ანიშნეს კოტეს,
— რა ქენი ბიჭო?! საჩქაროთ ჰკითხეს
ამხანაგებმა ახლათ მოსულსა,
კოტეც მოუყვა დალაგებულად
ამბებს განაგონს, თვალით ნახულსა:
— ყველგან ჯაშუში გამრავლებულა,
დაბა-სოფლებში და მთელ მხარეში:
დღეს ადრინდულათ არ შეგვიძლია
არც გამოჩენა, აღარც თარეში.
სოფელში შიშით ველარ გავედი,
რომ არ ჩავეგდე ჯაშუშს საფრთხეში,
და, რომ საკბილო რამ დამეზვერა,
იქვე ჩავსაფრდი გზის პირათ ტყეში.
ასე მოქცევით არც წამიგია,
ის დრო და წუთი ღმერთმა დალოცა:
გზაში გლეხები ლაპარაკობდენ
და გაიარეს ჩემს ახლო როცა,—
ყური დავუგდე და ჩვენდა იღბლათ
ორიოდ სიტყვას ,,ური მოვკარი:
პეტრე თიბაძეს, დღეს, აგერ ახლა,
გაუყიდია უღელი ხარი.
პეტრესთვის მყიდველს დრო დაუნიშნავს:
ფულს საღამოზე უთუოდ მისცემს.
დროს ნუ დავკარგავთ, ჩვენც ამაღამვე
თავზე დავესხათ, თუ ფიდოც გვირჩევს.
პეტრეს სახლი სდგას სოფლის ნაპირას
გზას მე გასწავლით, მოდით, გავსწიოთ;
იმას იქ ვერვინ მიეშველება
თუნდ მთელი სახლიც რომ დავაქციოთ.
— ძალიან კარგი, დათანხმდა ფიდო,
სამგზავრო ფული ეგებ ვიშოვოთ,
რადგან აქ დიდი საფრთხე მოგველის,
ეს არე მარე უნდა დავტოვოთ.
უნდა შორს სამე გადავიღუპოთ
და არა გვყოფნის სამგზავროთ ფული.
ექვს მანეთამდის ძლივას იქნება,
დღემდის რაცა მაქვს შემონახული...

II.

შუა ღამეა. სიჩუმე მკვდრული.
თავს დასწოლია მთელ სოფელს ძილი,
მხოლოთ არ სძინავთ პეტრეს და თებროს:—
კუბოში უწევთ ვაჟკაცი შვილი.
მეტი ტირილით ხმა ჩახლეჩიათ
და მოქანცულან საცოდავები:
მომტირალებიც კუბოსთან სხედან
ჩაუქინდრიათ დაბლა თავები.
ეტყობოდათ, რომ ძილი მოსვლოდათ
ბუნებას მათზე ეხმარა ძალა,
მაგრამ ვაჟკაცის დაკარგვით დამწვართ
აწ დასაწოლათ სადღა ეცალა?

ამ დროს, უეცრათ იჭექა კარმა.
სანთელზე იწყეს ბრწყინვა თოფებმა
და ხმის დაძვრაც-კი ველარ მოასწრეს
ელდა-შიშისგან სახლში მყოფებმა,
რომ ყაჩაღების ბელადმა ფიდომ
მკვახეთ შესძახა:—მოიტათ ფული...
კრინტი არ დასძრათ, თორემ ეს არი
თქვენთვის დადგება აწ აღსასრული.
გაქვავდა ყველა. მხოლოთღა პეტრე
ლუღლუღებს საწყალათ, როგორც შეშლილი:
— „ნუ ამოგვხოცავთ.. ესეც გვეყოფა
კუბოში გვიწევს ვაჟკაცი შვილი!!‘‘
ეს სთქვა საბრალომ და მიუთითა—
მიცვალებული სადაც ესვენა,
კუბოს დანახვით ყაჩაღთა ბელადს
,,მიწა გასკდაო,‘‘—ისე ეჩვენა.
და წუთის წინათ ამაყათ მდგარი
მოტყდა, მორბილდა, ელდით გაბრუვდა...
გონს რომ მოვიდა, თავის ხელ-ქვეითთ
ყაჩაღების ბრბოს მსწრაფლ მიუბრუნდა:
— შესდექით ძმებო!! დღეს ჩვენ აქ ვხედავთ
მთელი ოჯახის დიდ გასაჭირსა;
პატივი ეცით მიცვალებულსა,
ცივათ დაუშვით თოფები ძირსა,
იქ წართმევაზე წუწკი იფიქრებს,
სადაც პირ იქით შეწევნა უნდა!!.
ამხანაგებს რომ ეს სიტყვა უთხრა,
ის ჭირისუფლებს მსწრაფლ მიუბრუნდა:
— ჭირისუფლებო, გთხოვთ გვაპატიოთ,
რადგან ,,არ ცოდნა არ ცოდვა არი‘‘,
ჩვენ არ ვიცოდი, თუ ამ ოჯახში
გედგათ ვაება და, გლოვის ზარი!.
მძიმეა თქვენი მწუხარება დღეს;
უბედურება დიდი გწვევიათ
და შემწეობაც თვით თქვენ გეკუთვნის
ოჯახის ბურჯი რომ წაგცევიათ.
თუმც მართალია, ჩვენ არა გვაქს-რა
და სანახევროთ გვტანჯავს შიმშილი,
მაგრამ რაცა გვაქვს, მით შეგეწევით...

ღმერთმა აცხონოს ეგ თქვენი შვილი.“
ეს სთქვა და ფული მან კუბოს თავზე
დააწყო წყნარათ და თავაზითა
გარეთ გავიდა და თავისი ბრბო
თან წაიყვანა... ვინ იცის სითა..

III.

შემოდგომისა საღამო იყო.
შუქს სოცნებოს აფრქვევდა მთვარე
და მთელ სოფელში, მთელ მიდამოში
ოფლს ღვრიდა ხალხი შრომის მოყვარე.
ჩვენი ნაცნობი მოხუცი პერე
ეზოში იჯდა ყავარჯნით ხელში,
მწარე ფიქრებით გარემოცული
შორს გასცქეროდა სადღაც სივრცეში.
ბაღ-მარნებიდან ხალხის ჟრიამულს
ნიავი მწყნარი შორს მიმოჰფენდა
და ეს ხმა მსმენელს უმალ ხიბლავდა,—
ოცნების მხარეს გადააფრენდა.
იქ, შორს, ურმისა ჰრიალის ხმამა
გამოაღვიძა მიდამო წყნარი,
და მეურმისა დინჯი ღიღინი
შორით ისმოდა, ვით გლოვის ზარი·
მეურმის ხმაზე, მის დინჯ ღიღინზე,
მძიმეთ მოაწვა პეტრეს გულს სევდა;
სანამ ჯან-ღონე ჰქონდა ხომ ისიც
სხვებივით შრომის უღელსა სწევდა?
— ნეტავ იმ ოჯახს, წარმოსთქვა პეტრემ,
ვისაც შინა ყავს მშრომელი ხელი.
მე-კი არსიდან მიჩანს დამხმარე
ცარიელი მაქვს მარან-ბეღელი.
მეც მყავდა შვილი, ვაჟკაცი, მუშა,
და შევხაროდი მას ერთად ერთსა...
რაღა მიშავდა, რომ იგი ჩემთვის
არ წაერთმია დალოცვილ ღმერთსა?
სამი ვაჟკაციც ვერ შეიძლებდა
იმდენს, რაც იმას შინ შემოჰქონდა..
(აქ პეტრეს, უცებ ყაჩაღ ფიდოსგან
ნათქვამი სიტყვა წამოაგონდა):
„ოჯახის ბურჯი წაგქცევიათო!!“
ყაჩაღმა მითხრა და შემიცოდა,
თან ნუგეში მცა და რაც შეეძლო,
მოწყალე ხელიც გამომიწოდა !!
აქ საწყალს პეტრეს ყაჩაღის შემდეგ
ხუცესი გიგო წამოაგონდა
და ყაჩაღი რომ ღვდელს შეადარა,
— ეს რასა ჰგავსო!.— სთქვა და დაღონდა:

ეშმაკის გზაზე მდგომ ყაჩაღს გულში
კაცთ სიბრალული თუ უწერია,
აბა მღვდელი ხომ უფლის გზაზე სდგას,
თან ღმერთიც მუდამ პარს აკერია!!
და მერე რა ქნა?!— როცა ვტიროდი,
შვილი კუბოთი მესვენა შინა,
მაშინ დაუდგა დღესასწაული,
ფრთები შეისხა და მოილხინა.
ძველი მკვდრები და ახალი მკვდრები
სუყველა მაშინ წამოაგონდა,
თუმც იმ ძველ მკვდრების საწირავებზე
რას ვიფიქრებდი,. გულშიც არ მქონდა.
ეს დრამის ფული, ეს კოდის პური,
რა შარი მომდო!! ოჰ, ღმერთო ჩემო!
„მკვდარს შინ დაგილპობ, არ დავმარხავო,
რაც გმართებს—წინ— წინ თუ არ მომცემო!!„
მერე, რამდენი არ ვემუდარე,
რამდენი ვკოცნე მუხლებზე მღვდელსა,
მაგრამ მან სულ არ შეხედა იმ ღმერთს,
რომელ ღმერთზედაც ჩვენ გვიშვერს ხელსა.
აბა, მკვდარს ხომ შინ ვერ დავალპობდი!.
ავდექ— გავყიდე უღელი ხარი;
ამგვარათ ღვდელმა სრულად მომისპო
უკანასკნელი რჩენის სახსარი.
ეშმაკის გზაზე მდგომმა ყაჩაღმა
თუ-კი რომ იცის მადლი და ცოდვა,
ღვთის მსახურ ღვდელსაც ნეტავ იმისგან
კაცთ სიბრალული ესწავლა ცოტა!..“
ეს სთქვა საბრალომ და ყავარჯენი
ხელის კანკალით წინ დაიბჯინა,
ძლივას წამოდგა, ბარბაცი იწყო
და ოხვრა-კვნესით შევიდა შინა..

ფონ-ტეფო

გლეხის სიმღერა.

(დიდი ჯიხაიში)

მინდა შევკითხო ქვეყანას,
რაც გულს მიღონებს მარადა;
რათ გავრჩენილვართ, გლეხები
სხვათა საკრეჭავ ფარადა?
რისთვის გავმხდარვართ სხვათათვის
უხმო, უენო ჯარათა,
რათ გვცემენ წიხლებს, მუჯლუგუნს
აღარ გვაგდებენ არათა,
თუ არა საწველ საფურედ,
საქონლად მოსახმარათა?

—

რომელს გავუძლო არ ვიცი:
ოჯახს თუ ბატონებსაო,
მემამულეთა მუქარას,
თუ „სტრაჟის“ მათრახებსაო...
გასჭირდა ჩვენი ცხოვრება,
აღარ გავს არაფერსაო,
შინ ცოლ-შვილს ველარ აუველ,
გარეთ, მოყვარე—მტერსაო.
რაც შარშან ოფლი დავღვარე
წრეულს უნდება სხვებსაო.

—

მოგვადგებიან გზირები:
ყრილობა არის დღესაო,
არ დაუყოვნო წამოსვლა,
კარგათ გახსოვდეს ესაო,
თორემ მათრახი კურაძის
აგიურავებს წელსაო. .
მიდიხარ, აბა რას იზამ,
დაკარგავ საქმის დღესაო,
და თუ კი შედგა ყრილობა
მადლობა უთხარ ღმერთსაო.

—

ასე გვიცდენენ კვირეში
სამიოდ საქმის დღესაო,
და თუ რამ ტანჯვით ვიშოვეთ,
მიაქვთ ჩარჩ ბაცაცებსაო
ჩვენს გამოფხეკილს ჯიბეში
ქვეყანა ურევს ხელსაო:
„ბოჩიკმა“ ნოხი წამართვა
და მიუტანა ღვდელსაო,..
ეჰ, მოდი ბარემ სიკვდილო,
მოგვწყვიტე განსაცდელსაო.

კიკოლა ბიჭი.

ტ ე ვ ე.

საამო სიომ დაიჩურჩულა...
რაღაც ძალუმად ატოკდა გული!..
ნუ თუ დამხო ტახტი ზამთრისა
და ფრთებს ლაღად შლის აწ გაზაფხული!
ოჰ, მაშ გამიშვით, გააღეთ ჩქარა
ეგ დასამტვრევი გალიის კარი.
ცის კამარაში უნდა ვიფრინო,—
მიყვარს ლაჟვარდი, მიყვარს მთა-ბარი.
იქ, ჭალის პირად, ეხლა ენძელა
მზის სხივს ულიმის—ბედნიერია,
წარმტაც სინაზით თვალსა ადევნებს
წნაკადის ლიკლიკის პირ მორცხვი ია.
და ველ-მინდორი, ფართედ გაშლილი,
გულ-მკერდს იქარგავს, კაბას იჭრელებს,
ტყე ნელა ისხამს ლამაზ მწვანე ჩარდს
და ცელქ ნიავთან მწარედ ჩურჩულებს.
ოჰ, მაშ გამშვით, გააღეთ ჩქარა
ეგ დასამტვრევი გალიის კარი,
აზაფხულს უნდა მივესალამო.—
გული დავიტკბო მწარედ მკვნესარი...
და, როს დაჰქროლებს მწუხრისა სიო:
ტყე საოცნებოდ მოემზადება,—
მაშინ დავუსტვენ და ჩემ სიმღერით
ირგვლივ მიდამო ახმაურდება.
იმ სიმღერაში უხვად ჩავაქსოვ,
რაც აგრე მტანჯავს, რაც მიქეჯნის გულს.
იქნებ მეგობარს მისწვდეს ჩემი ხმა
და ფიქრს მიმიხვდეს მგოსანს ბედით-კრულს.
ოჰ, მაშ გამიშვით, გააღეთ ჩქარა
ეგ დასამტვრევი გალიის კარი.
გაზაფხულს უნდა მივესალამო, –
გული დავიტკბო მწარედ მკვნესარი.

ილ. რუხაძე

ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ.

გორი. კულტურის საქმე მდევის ნაბიჯით მიიწევს წინ. ძველი თეატრის შენობა დაანგრიეს, ხოლო ახლათ დაწყებული მაღაზიებათ გადააკეთოს.

იქ დანვე. რათა ყოველივე აშკარა იყოს, ვიტყვით, რომ, „სახალხო უნივერსიტეტის“ საქმე ვერაფერით ვერ მიდის თვით ხალხის საქმეებზე უკეთ. „პროფესორები“ გადადგენ, ვინაიდან გაფიცვა დასაბამითგანვე თან დაჰყვა მას.

იქიდანვე. აგერ რამდენი ხანია ბ-ნნი გიგო მაჩაბელი და მიხეილ ხიზანოვი შეუდგენ „ერთობის" ისტორიის შედგენას. ამისათვის მათ უკვე შეისწავლეს შერლოკ ხოლმსის თავ გადასავალი და სხვა ამგვარი საშიშარი ამბები

იქიდანვე. წვრილ ვაჭრებსა და მათ ნოქრებს განზრახვა აქვთ სამუშაო დღე 18 საათამდე შეამოკლონ. ჰაი გიდი დროებავ! ამ ხუთი წლის წინეთ ასეთ შეღავათებზე ვინ გაბედავდა ოცნებობას.

გორელი.

ლოთის სიმღერა.

ჰარი, ჰარი, ჰარალალო ჰარალო!.
დაასხი, ძმავ, გამოვცალოთ ფიალა!.
ეჰ, როდემდის, როდემდის ვივალალო...
წუთით შვება ტანჯვამ გამიტიალა!..
შორს ქვითინი! ცრემლი ცრემლს აეკიდოს
ცრემლშივ ჩაჰკვდეს სევდიანი სიმღერა .
მაშ. წამების ჯვარი გულმა ვით ზიდოს,
როცა სევდამ რწმენა ჩაჰკლა, დასერა?! .
დაასხი, ძმავ, ღვინო! ღვინო მწყურია .
წუთიერად დავივიწყებ ვაებას!.
დღეს მაჩუქა ღმერთმა ლუკმა-პურია;
ვიქეიფოთ!.! ლოთობაში ვგრძნობ შვებას!..
აბა, ღვინო! ჰარალალე,ჰარალე!..
მეტი რავქნა? ბედკრულს ვერ გამიგია...
ღვინოს რად ვსავამ? ნუ მკითხავ გენაცვალე;
გზა სასტიკმა ცხოვრებამ ამირია!!

ვ. გორგაძე.

სურვილი საჩხერისათვის.

—

ვისურვებ, რომ საჩხერეში
ხამკითხველო დაორსულდეს,
იასონს და სევერიანს
ბებიობა მისი სურდეს:
რომ მოეგოს მას მკითხველი,
ვისაც წიგნის კითხვა სწყურდეს...
(თუ კი არის კიდევ წიგნი
და აქამდე არ გაქურდეს)

—

რომ ამბროსი ჩინჩალაძის
მენდალს არრა გაუჭირდეს
და ბათლომეს ძირს, პადვალში,
ღვინის შოვნა არ უჭირდეს
იამბროსოს, იმენდალოს,
იჩინ-ორდენ-იტემლაკოს,
ჭოლოშვილი ჯერ გალანძღოს'
. . . . . .

—

რომ საჩხერის მრეწველობას
დაეხუჭოს მარად თვალი,
და სიმშილის მოლოდინში
ვნახოთ ყველა დანამთვრალი.
ქალებს კვლად ყოველ ღამე
ეთამაშოთ ლოტო, კარტი. .
ქვევით არ ვსწერ,... თუმცა კიდევ
ბევრი რამ მაქვს განსამარტი .....

—

ცაგუ.

ჩვეულებრივი დეპეშები.

ნანეიშვილისოული. გურიაში კარგათ ცნობილი ქველმოქმედი, ვარლამ ერისთავი, რომელმაც წინეთაც არა ერთხელ გააბედნიერა გურია, ახლაც აშენებას უპირობს ჩვენს საზოგადოებას. ეს თანხა გახლავს მის მიერ ახლად სამჯავროში მოგებული ფული 1904 წლიდან იარმარკის მოცდენის გამო. ბოროტი ენები.-.

რედაქტორ გამომცემელი
გაიოზ ჯაჭვაძე

ფოსტა.

ხონი. მიჯნურს. „თუ ამას დამიბეჭდავთ, შემდეგში ყოველ ნომერზე გამოგიგზავნით ორ-სამ ასეთ ლექსსაო" იწერებით თქვენ. მეგობრული გაფრთხილებაა.

შავ-სოფელი. ქლიავს. ძლიერ ადრე შემოსულხართ. ამიტომაც ეტყობა თქვენს „ლექსს" მეტის მეტი სიმკვახე.

ზესტაფონი. ვირთხას. გვიკვირს თქვენც რომ „ეშმაკის მახეს" ეტანებით.

სადმე. უცნობს. თქვენ რომ უკუღმართი არ იყოთ, პოეტურ ნიჭს არა ხართ მოკლებული-აი ერთი კუპლეტი:

„ოდეს არ იქნეს ამ ქვეყნად ჩემი
არცა სხეული და არცა სახე,
მიწათ ვიქნები გადაქცეული,
მაშინ, გთხოვ, მხოლოდ ეს ლექსი ნახე".

ვეცდებით მოგიგონოთ.

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალ

„ეშმაკის მახე"-ზე

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ თითქმის ყველა ჩვენი ახალგაზრდა მწერალნი.

მთელი წლით ჟურნალი ღირს 5 მნეთი.

1/2 წლით — — 2 მნ. 50 კპ.
3 თვით — — 1 მნ. 50 კპ.
1 თვით — — — 50 კპ.

ცალკე ნომერი 10 კპ.

ჟურნალში მიიღება აგრეთვე განცხადებებიც:

მთელი გვერდი 10 მანეთი.
1/2 **გვერდი** 5 „ „
1/4 **გვერდი** 3 „ „

თვიურსა და წლიურ განცხადებას ფასი რედაქციასთან მორიგებით აკლდება.

ყოველგვარი წერილები, აგრეთვე ჟურნალის დასაკვეთი ფული, უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესზე:

Тифлисъ. Въ редакцію журнала „ЕШМАКИСЪ МАХЕ".

ე 1582
1911

ფირმა დაჯილდოვებულია წელის საუკეთესო ღირსებისა-
თვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით.

მოითხოვეთ ყოველგან და ყოველთვის

მ. ლალიძის და ამხ.

ქარხნის საუკეთესო ხილეულ-მადნეულის **წ ყ ა ლ ი.**
გემო და სურნელოვანება მშვენ-ერი აქვს.

მზადდება წმინდა ხილეულის წვნისაგან და გამოხდილ წყლით. სპეციალისტის (ხიმიკოსი) მუდ-
მივ ზედამხედველობით.

თფილისი **ქუთაისი**

გოლოვინ-ს პრ. № 6 ტელ. № 411

ქ. ბ ა თ უ მ ი.

ძმ. მგელაძეების ჭურჭლეულობის მაღაზიაში

მიხაილოვის ქ. სახლი № 32

10 მარტიდან **20** აპრილამდე

დანიშნულია

დიდი იაფი ვაჭრობა

მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი ჭურჭლეულობა: ფარფორის, ფაიანსის, ემალის, ბრო-
ლის, შუშის და სხვ. საქონლებისა. საბოვრები, ვენის წნული სკამეი, კრაოტები, სტოლ-
საფრები (კლიონკები) გიტარები, სამზარეულოს სხვა და სხვა საჭირო ნივთები და სხვა-
ვიმედოვნებთ, რომ პატივცემული საზოგადოება არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და
პირადათ დარწმუნდება საქონლის სიიაფეში

პატივისცემით **ძმ. მგელაძეები.**

ელჭრო-მბეჭდავი სტამბა ეს. კერესელიძისა გოლოვინის პროს. № 42.